პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 268 (10965) | ხუთშაბათი, 14 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

გრანდიოზულია ჩვენი წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე მოვიპოვეთ. სოციალისტური საზოგადოების აშენებამ ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. სულ უფრო იზრდება ხალხის შეგნება, უფრო ფართოდ და სრულად ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, ხალხის ნამდვილი ხელისუფლება.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა განვახორციელოთ ჩვენი საუკუნის დიადი იდეა — კომუნიზმი.

(საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის შესახვედრად

გუშინ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. პლენუმის გადაწყვეტილებით საქართველოს კომპარტიის მორიგი XVIII ყრილობა მოწვეულია 1958 წლის 27 იანვარს.

ყრილობის მოწვევა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო პარტიული ორგანიზაციების, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში. საქართველოს კომპარტიის წინა ყრილობამ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ყველა ღონ-ძიებით აემაღლებინათ მშრომელთა აქტივობა და თვითმოქმედება, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების საფუძველზე კიდევ უფრო ფართოდ გაეჩაღებინათ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გულისხმიერად დაეგდოთ ყური მასების ხმისათვის, გამოეჩინათ მზრუნველობა კომუნისტების საქმიან წინადადებათა განხორციელებისათვის. პარტიის მორიგი ყრილობა შეაჯამებს განვლილ პერიოდში პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას და დასახავს ახალ ამოცანებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კომუნიზმის დიად მშენებლობაში მასების აქტივობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

საქართველოს კომპარტიის მორიგი ყრილობისათვის მზადება მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხმა ეს-ეს არის იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში ვრცლად გააშუქა ჩვენი ხალხის გმირული შრომითა და ბრძოლით მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი. საბჭოთა ადამიანების საგმირო, ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ხელ შექმნილმა სახელმწიფომ — მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ გადალახა ურთულესი და უძნელესი დაბრკოლებები, თავი დააღწია მემკვიდრეობით გადმოცემულ ჩამორჩენილობას და გადალახა ძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯად.

სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს ვ. ი. ლენინის მითითებებს, გამოიჩინა უნარი მტკიცედ დაერაზმა და უმაგალითო სისწრაფით წაეყვანა წინ საბჭოთა ხალხი სოციალიზმის მშენებლობის გზით. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მივაღწიეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრ აღმავლობას, მშრომელთა საარსებო დონის მკვეთრ ამაღლებას. და ახლა, როცა სიამაყით ვავლებთ თვალს შრომითა და ბრძოლით დიდებამოსილ განვლილ გზას, გული სიხარულით გვევსება. ხალხის მადლობა და სიყვარული დაიმსახურა ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორმა და სულისჩამდგმელმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც წარმატებით იბრძვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით უკვე მიაღწია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ისეთ მაღალ დონეს, რომ უახლოეს პერიოდში შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდეს დასახული საბრძოლო ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნიზმის დიად მშენებლობაში ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებსაც სათავეში უდგას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებული სახელოვანი კომუნისტური პარტია.

ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები. მალე დაიწყება რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. ანგარიშგება-არჩევნები უმნიშვნელოვანესი ეტაპია პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. ამოცანა ის არის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, პარტიულ კონფერენციებზე შევქმნათ პარტიულობის ატმოსფერო, ფართოდ გავშალოთ ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა, მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტებმა მოურიდებლად ამხილონ ნაკლოვანებანი ჩვენს მუშაობაში, წამოაყენონ საქმიანი წინადადებანი, დასახონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, თავიდან აიცილონ მოპოვებული მიღწევებით დაკმაყოფილებისა და თვითდამშვიდების მავნე ტენდენცია, გააძლიერონ მომთხოვნელობა, აღკვეთონ პირფერობისა და მაამებლობის ყოველგვარი გამოვლინება, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ცალკეული პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, გაბედულად გამოააშკარაონ ყველა ის, ვინც კარგავს პარტიულ თავმდაბლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის ივნისისა და ოქტომბრის პლენუმებმა, რომელთა გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა, ცხადყო, რომ მტკიცე და ურღვევია კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთიანობა, რომ პარტია არ დაუშვებს თავის რიგებში გამთიშველ, ანტიპარტიულ მოქმედებას, არ დაუშვებს ქედმაღლობას, მედიდურობასა და ყოყოჩობას, რაც საზიანოა პარტიისა და ხალხის ინტერესებისათვის.

უკანასკნელ წლებში პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. ამას მოწმობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, თვალსაჩინო მიღწევები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. მაგრამ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა უკეთ უნდა უხელმძღვანელონ რესპუბლიკის სიამაყის — ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების, მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომ განვითარებას, უზრუნველყონ მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები და პარტიული მუშაკები, რომლებიც მასებისადმი ცოცხალი ხელმძღვანელობის ნაცვლად ძვირფას დროს ანაგვენ სახსდომო ფუსფუსსა და ქაღალდების თხზვაში, პატივს არ სცემენ ჯანსაღ კრიტიკას, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო ქონების დაცვას, არ ზრუნავენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ასეთი ფაქტები გამოვლინდა ადიგენისა და ლენტეხის პარტიულ ორგანიზაციებში, თბილისის კუიბიშევის სახელობის ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში.

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, იდეოლოგიური მუშაობის საკითხები.

პარტიის მორიგი ყრილობისათვის მზადების პერიოდი უნდა გადავაქციოთ პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, მთელი ხალხის შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი გაშლის პერიოდად, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ, თვალსაჩინო წარმატებათა მოპოვების პერიოდად.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით შთაგონებულ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გასწევენ წინ, ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ და საამაყო მაჩვენებლებით შეხვდებიან პარტიის მორიგ ყრილობას.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალი პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობით უპასუხებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიმართვას

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მრავალი მილიონი ადამიანი მთელ საბჭოთა კავშირში, შეუსუსტებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მუშაობას. ამ დღეებში რესპუბლიკის მშრომელები გულდასმით განიხილავენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი“ და საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას, რომელშიც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო საბჭოთა ხალხებს მოუწოდებს კიდევ უფრო შეამჭიდროონ თავიანთი რიგები კომუნისტური პარტიის გარშემო, იბრძოლონ კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიღწევების მოსაპოვებლად.

ქვევით ვბეჭდავთ ჩვენი კორესპონდენტების ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ფართო გამოხმაურება გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ რესპუბლიკის ათასობით მშრომელთა გულში.

სასიხარულო პერსპექტივები

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის 10 თვის მანძილზე გეგმის გადამეტებით სამშობლოს 2.301 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა.

მაღალი მაჩვენებლებისათვის გუშინ, 13 ნოემბერს, ქარხანას საზეიმოდ გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პასუხად ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა თავდადებული შრომით განამტკიცოს მოპოვებული მიღწევები, შეუპოვრად იბრძოლოს ახალი წარმატებებისათვის.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, — განაცხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ზეინკალმა პ. მუხიგულაშვილმა, — დასახულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი ნათელი პერსპექტივები, ახალი საბრძოლო ამოცანები. ეს პერსპექტივები აღაფრთოვანებენ მილიონობით საბჭოთა ადამიანებს. ჩვენი ქარხნის მუშები ძალღონის დაუზოგავად იმუშავებენ საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს.

საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ

სოხუმი. (საკ. კორ.). უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ აფხაზეთის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. ქარხნებსა, ფაბრიკებსა, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-დაწესებულებებში მშრომელები ფართოდ განიხილავენ სესიის მასალებს.

ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მოწინავე მუშამ ვ. კასიუგამ სესიის მასალების გაცნობის შემდეგ განაცხადა:

— დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდა: გეგმის ზევით ქვეყანას 32 მილიონი ცალი პაპიროსი მივეცით. პარტია და მთავრობა ჩვენგან მოითხოვენ ახალი შრომითი მიღწევების მოპოვებას. მშობლიურ პარტიას სიტყვას ვაძლევთ, რომ ვიმუშავებთ კიდევ უფრო თავდადებით საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გათუმელ მენავთობეთა სიტყვა

ბათუმი. (საკ. კორ.). ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ზეიმის წინა დღეებში ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა სასახელოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. მენავთობეებმა 22 ოქტომბრისათვის გაანაღდეს 10 თვის გეგმა და ქვეყანას მისცეს რამდენიმე ეშელონი ზეგეგმითი ძვირფასი ნავთობპროდუქტები, დაზოგეს დიდძალი ელექტროენერგია, ორთქლი, საწვავი მასალები, ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირეს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

ბათუმელ მენავთობეთა შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალების გაცნობამ. ქარხნის მეცხრე სამეჩროში მენავთობეებს სესიის მასალები გააცნო აგიტატორმა კ. სტურუამ.

— ჩვენი საყვარელი სამშობლო ახალ მძლავრ აღმავლობას განიცდის, — თქვა მოწინავე ოპერატორმა ა. თავდუმაძემ, — კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ამჟამად კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოგვიწოდებენ ახალი შრომითი წარმატებებისაკენ. ჩვენ, ბათუმელი მენავთობეები, სიტყვას ვიძლევით, რომ განვამტკიცებთ და კიდევ უფრო გაავამრავლებთ საოქტომბრო წარმატებებს, არ დავზოგავთ ძალასა და ენერგიას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ჭეშმარიტ ათეული წელიწადი სოციალისტური მრეწველობის ახალი გაფურჩქვნის ათეულ წელიწადად ვაქციოთ. ეს იქნება მენავთობეთა საუკეთესო პასუხი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვაზე საბჭოთა ხალხებისადმი.

საუბრები გაიმართა ბათუმის მანქანათმშენებელ, გემშემკეთებელ-გემშენებელ, ტყავის, კოფეინის ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში.

უკეთესად ვიმუშავებთ

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის შახტების მშენებლობების, დაფეხებულებების ათასობით ადამიანი დიდი ინტერესით ეცნობა და იწონებს საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას.

სტალინის სახელობის შახტის ნოვატორმა მეშახტემ შალვა შარვაძემ, როდესაც ეცნობოდა მიმართვას, განაცხადა:

— საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყანა შორს წავიდა წინ. დიდი წარმატებით ხორციელდება პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. ამჟამად ჩვენს წინაშე კიდევ უფრო დიდი პროგრამაა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას. ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ჩვენი შახტის კოლექტივსაც. სულ მალე შახტი აითვისებს საპროექტო სიმძლავრეს, რის შედეგად მეტ მაღალხარისხოვან პროდუქციას მივცემთ სამშობლოს. გადაწყვეტილი მაქვს წლის ბოლომდე მოვანგრიო 1.000 ტონა ქვანახშირი.

საიუბილეო სესიის მასალებით აღფრთოვანებული მეშახტეები თავდადებით შრომობენ მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის, წლიური დავალების ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ზეგეგმითი პროდუქციისათვის

ბორჩრი. (საკ. კორ.). დიდი გამოცოცხლებაა ბამბეულის ქსოვილების კომბინატში. ფეიქრებს ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. ფაბრიკის საამქროებში ათობით აგიტატორი აცნობს ფეიქრებს ამ მიმართვას.

საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწემ ი. კობერიძემ მიმართვის გაცნობისას განაცხადა:

— ყველანი აღფრთოვანებული ვართ ჩვენი სამშობლოს გრანდიოზული წარმატებებით. რომლებიც მოპოვებულია 40 წლის მანძილზე. ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, გორელი ფეიქრები ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის. ჩემი კოლექტივის სახელით ვკისრულობ წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შევასრულო.

კომბინატის მთელი კოლექტივი, რომელმაც ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 900 ათასი მეტრი ქსოვილი, ახლა იმისათვის იბრძვის, რომ წლის ბოლომდე გეგმის ზევით გამოუშვას 1 მილიონ 200 ათასი მეტრი ქსოვილი.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ამწყობი საამქროს მუშები ეცნობიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და ყველა მშრომელს, რომ 13 ნოემბერს დილის 7 საათზე პრაღაში ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი ამხანაგი ანტონინ ზაპოტოცკი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თანაგრძნობას გიცხადებენ და თქვენთან ერთად დიდად არიან დამწუხრებულნი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალების გამო.

მთელ თავის სიცოცხლეში ამხანაგი ანტონინ ზაპოტოცკი იყო ჩეხოსლოვაკიისა და საერთაშორისო რევოლუციური მუშათა და კომუნისტური მოძრაობის პირველ რიგებში და მთელ თავის ძალებს ახმარდა დიად ბრძოლას მშრომელთა განთავისუფლებისათვის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განხორციელებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ რომელთა ერთგული შვილი იყო ამხანაგი ანტონინ ზაპოტოცკი, მისი სახით დაკარგეს გამოჩენილი პროლეტარული რევოლუციონერი, დაუცხრომელი მებრძოლი მუშათა კლასის საქმისათვის, ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის.

ამხანაგი ანტონინ ზაპოტოცკი მუდამ იყო საბჭოთა კავშირის ერთგული და გულწრფელი მეგობარი. მან ბევრი ზრუნვა და ენერგია მოახმარა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ურღვევი მეგობრობისა და მჭიდრო კავშირის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის იდეური ერთობის,ძმური მეგობრობისა და ეკონომიური ძლიერების დამკვიდრებას.

საბჭოთა კავშირის ხალხები სამუდამოდ შეინახავენ თავიანთ ხსოვნაში ხალხის ქვედა ფენებიდან გამოსული ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, პროლეტარული მებრძოლის, ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის ნათელ სახეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვაზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნა მთავრობის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი (დელეგაციის მეთაური), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ნ. გ. იგნატოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი დ. ს. კორტჩენკო, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ი. ტ. გრიშინი.

ანგარიშგება-არჩევნები

პირველად პარტიულ ორგანიზაციებში

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მაღალი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მალე ანგარიშგება-არჩევნები შევა ახალ პასუხსაგებ პერიოდში — 16 ნოემბერს დაიწყება რაიონული პარტიული კონფერენციები.

1958 წლის 27 იანვარს გაიმართება საქართველოს კომპარტიის მორიგი XVIII ყრილობა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ვალია ფართოდ გააჩაღონ ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, იბრძოლონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

გავაღიზოთ ჩაის კუღზურის მოსავლიანობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები.

ჩვენს რესპუბლიკაში სალიბაურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მეჩაიეობის მსხვილი მეურნეობაა. ჩაის პლანტაცია აქ 130 ჰექტარზეა გადაჭიმული. მეურნეობის კოლექტივი ყოველწლიურად აწვდის ჩაის მრეწველობას 450 ტონაზე მეტ ხარისხოვან ნედლეულს და სახელმწიფოს აძლევს 1 მილიონ მანეთზე მეტ მოგებას.

მეურნეობაში გამართულ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე როგორც მომხსენებელი, ისე კამათის მონაწილეები კომუნისტები მკაცრად აკრიტიკებდნენ სამეურნეო და პარტიული მუშაობის ნაკლოვან მხარეებს. უნდა ითქვას, რომ სალიბაურელ კომუნისტებს წელს ბევრი არაფერი აქვთ საამაყო. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება მხოლოდ 94,8 პროცენტით შეასრულეს, 500 ტონის ნაცვლად ჩაის ფაბრიკას 474.4 ტონა ნედლეული ჩაბარდა. განსაკუთრებით ჩამორჩა № 8 ბრიგადა, რომელსაც პარტიის წევრობის კანდიდატი ვ. კაკაძე ხელმძღვანელობს. ჩამორჩენის ძირითად მიზეზად კრებაზე დასახელებულ იქნა შრომის ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებლად დაყენება. არსებული შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას ყურადღება არ ექცეოდა. პარტბიუროო უგულებელყოფდა ორგანიზატორულ მუშაობას კრების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის. ამას ისიც მოწმობს, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიულ კრებაზე და პარტბიუროს სხდომებზე ბევრჯერ განიხილეს საკითხი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმების შესრულებაში არსებული ჩამორჩენის შესახებ. ბევრი კარგი დადგენილებაც მიიღეს, მაგრამ იმის გამო, რომ მათი შესრულებისათვის ნაკლებად მუშაობდნენ, დადგენილებებს შედეგი არ მოჰყოლია. როგორც პარტბიუროს მდივანმა ა. კვაჭაძემ კრებაზე აღნიშნა, კომუნისტების ერთი ნაწილი ზრუნავდა მხოლოდ იმისათვის, რომ თვითონ შეესრულებინა პირადი გეგმები. ნაკლებად ეწეოდნენ ახსნაგანმარტებითს მუშაობას უპარტიო ამხანაგებს შორის. მოისუსტებდა ჩაის მოწინავე მკრეფავთა გამოცდილების პროპაგანდა. მაგალითად, კომუნისტმა მკრეფავებმა ნ. თურმანიძემ, ა. პერშინამ, ა. რიაბკუნმა და სხვებმა სეზონში 5-7 ტონამდე ნედლეული მოკრიფეს, მაგრამ პარტიულმა კოლექტივმა ცოტა რამ გააკეთა იმისათვის, რომ განეზოგადებინა მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება, მთელი კოლექტივის კუთვნილებად გაეხადა იგი.

კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ მკრეფავთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას, ქედლის და საველე გაზეთებისადმი ხელმძღვანელობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. კამათში გამოსულმა კომუნისტებმა რ. ჩხაიძემ, ვ. კაკაძემ, მ. მანველიანმა, ტ. პეტრუნენკომ და სხვებმა პარტბიუროს ოსაყვედურეს, რომ იგი ნაკლებად ზრუნავს მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მუშათა საერთო საცხოვრებელი მოუწესრიგებელია, მეურნეობაში კლუბისა და სასადილოს შესაფერი შენობა არ არის. მასობრივი და საკლუბო მუშაობა ჩაშლის გზაზეა.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დ. ფაღავამ, დირექტორის მოადგილემ სამეურნეო ნაწილში ა. ბერიშვილმა, აგრონომმა ა. ჯორბენაძემ და სხვებმა გააკრიტიკეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტი იმისათვის, რომ ისინი მეურნეობის კოლექტივის აზრს უგულებელყოფენ და ჩაის ფოთლის კრეფის ხელოვნურად გაბერილ გეგმას იძლევიან, მაშინ როცა ჩაის ბუჩქების დიდი ნაწილი გადაბერებულია. საჭიროა ბუჩქების გაახალგაზრდავება, გადიდებული გეგმა კი ამის საშუალებას არ იძლევა.

კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ძირეული პრესის მუშაობა განსაკუთრებით მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და ფართოდ დანერგვის საქმეში, ეგრეთვე კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი.

კრებამ მიიღო საქმიანი დადგენილება, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს მეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამაღლებას და ამის საფუძველზე სამეურნეო მაჩვენებლების ზრდას.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ავამაღლოთ პარტიული ჯგუფების გრძოლისუნარიანობა

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის № 1 საამქროს მე-2 ბრიგადაში მომუშავე კომუნისტები დანიშნულ დროზე შეიკრიბნენ თავიანთი პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. ბრიგადაში არსებული მდგომარეობისა და პარტიული ჯგუფის საქმიანობის წინასწარი შესწავლის შემდეგ პარტიული ჯგუფის ორგანიზატორმა წარჩინებულმა მკერავმა შ. ცინცაძემ შეადგინა საქმიან და კონკრეტულ ფაქტებზე აგებული საანგარიშო მოხსენება.

ფაბრიკის კოლექტივმა, — დაიწყო პარტჯგუფორგმა შ. ცინცაძემ, — რომელიც ლენინაკანელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, ცხრა თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ანაღდებს № 1 საამქროს კოლექტივიც. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ჩვენი ბრიგადის მკერავებსაც, რომლებმაც ცხრა თვის დავალება 102 პროცენტით გაანაღდეს.

ეს წარმატებები მოპოვებულ იქნა სიძნელეებთან შეუპოვარ ბრძოლაში. დასამალავი როდია, რომ ჩვენი ბრიგადა მეორე კვარტალის დასაწყისიდან შეფერხებით მუშაობდა.

მაგრამ მონდომებულმა მუშაობამ, ნაკლოვანებებთან შეურიგებელმა ბრძოლამ თავისი სასარგებლო შედეგები მოგვცა. ახლა ჩვენდა სასახელოდ პარტჯგუფში გაერთიანებული ექვსივე კომუნისტი წარმოების ავანგარდში ვდგევართ. მაგალითად, ნორა ბლიაძე და ზინა ასათიანი 1962 წლის ანგარიშში მუშაობენ, ნინო გიორგაძე — 1959 წლის და სხვ.

მართალია, კომუნისტები და ბევრი უპარტიო აქტივისტი ნოვატორული შრომის მეთოდებს უჩვენებენ, მაგრამ მოწინავე მეთოდები ჯერ კიდევ არ გამხდარა ყველა მკერავის კუთვნილებად.

ეს საკითხები თავის დროზე გახდა პარტიული ჯგუფის კრებების მსჯელობის საგანი. პარტჯგუფის ინიციატივით ჩამორჩენილი მუშებისათვის მოეწყო ინდივიდუალური სწავლება, ხოლო ზოგიერთი ტექნიკური სწავლების წრეებში ჩაება. ამან ხელი შეუწყო ბრიგადის დაწინაურებას, წუნის მინიმუმამდე შემცირებას.

საწარმოო საკითხებთან ერთად პარტჯგუფის კრებებზე განვიხილეთ პარტიულ-პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობის საკითხები.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა ნ. გიორგაძემ, ნ. ბლიაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ პარტიული ჯგუფის კრებებზე წელს არ განუხილავთ კომკავშირული ჯგუფის, პროფორგის, აგიტატორების მუშაობის საკითხები. საერთოდ პარტჯგუფი სუსტად ხელმძღვანელობს კომკავშირულ ჯგუფს. კვლავ ვხვდებით აგრეგატებისა და მანქანების მოუვლელობის ფაქტებს.

კამათის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე, სოციალისტური შეჯიბრებისა და მისი შედეგების პროპაგანდის საჭიროებაზე.

აღინიშნა ისიც, რომ პარტიულ ჯგუფს ნაკლებ დახმარებას უწევს ცვლის პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ცირეკიძე.

პირუთვნელად გააკრიტიკეს რა ნაკლოვანებები, კომუნისტებმა მოითხოვეს, რომ როგორც ცვლის, ისე ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტად დაეხმარონ პარტიულ ჯგუფებს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ შიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ასახვა ჰპოვა კომუნისტთა კრიტიკულმა შენიშვნებმა და საქმიანმა წინადადებებმა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოწინავე გამოცდილება — მასებს

ახლის დანერგვის შედეგად

ჩვენი კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმა საჯიშე-სანაშენოდ ითვლება. მიუხედავად ამისა, 1955 წლამდე აქ როგორც საერთოდ ნამატის, ისე სანაშენო მოზარდის გაზრდას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1954 წელს შენარჩუნებული იყო მიღებული ნამატის მხოლოდ 75 პროცენტი, 1955 წელს კი—77 პროცენტი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით ფერმაში ნამატის გაზრდის მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

1954 წელს მოსკოვში, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყოფნისას გავეცანი არხანგელსკის ოლქის ხოლმოგორის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრის“ მუშაობას ნამატის შენარჩუნებისა და სანაშენო მოზარდის გაზრდის საქმეში. პირადად დავინტერესდი კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი-მეხბორის ს. ი. სავინოვას მუშაობის გამოცდილებით. მან 17 წლის განმავლობაში 1.893 ხბო გაზარდა.

გამოფენიდან დაბრუნების შემდეგ გადავწყვიტე ჩვენს ფერმაში დამენერგა როგორც ზემოთ აღნიშნული კოლმეურნეობის, ისე გამოფენის მონაწილე სხვა მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელების გამოცდილება ნამატის გაზრდისა და წველადობის გადიდების საქმეში. განზრახვა სისრულეში მოვიყვანეთ. გამოფენის მონაწილე კოლმეურნეობების გამოცდილების დანერგვამ სასურველი შედეგი მოგვცა. მარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღეთ 1.475 კილოგრამი რძე, ხოლო მიმდინარე წლის 8 თვეში — 1.728 კილოგრამი. რაც მთავარია, მკვეთრად გავზარდეთ ნამატის შენარჩუნებისა და სანაშენომოზარდის გაზრდის პროცენტი. ცხოველმზადების კანტორას ჩაბარდა კოლმეურნეობაში გამოზრდილი 10 ჯიშიანი საბუღე.



ა. აბულაძე.

* * *

ძროხას ვცდილობთ მივცეთ რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი თივა, კონცენტრატები, წვნიანი და მინერალური საკვები. ასეთი უხვი და მრავალფეროვანი კვების შედეგად დიდი წონისა და სიძლიერის ნამატი იბადება.

მოგებამდე 8-10 დღით ადრე ძროხები გადაგვყავს სამშობიარო განყოფილებაში. ნამატის მოცემის წინა დღეებში ვკვებავთ მხოლოდ თივით. ახალმოგებულ ხბოს ვამშრალებთ სუფთა ტილოთი, შემდეგ იგი გადაგვყავს სპეციალურ სახბორეში და ვთავაზობთ წინასწარ მომზადებულ რბილ ქვეშსაფენიან ხის გალიაში, სადაც ნორმალურ ტემპერატურას ვიცავთ. მოგებიდან საათნახევრის შემდეგ ხბოს ვწონით, ვაკუთვნებთ სინვენტარო ნომერს და ვაფორმებთ ნამატის მიღების აქტს. ხბოს ვუნიშნავთ მოვლის რეჟიმს და ინდივიდუალური კვების ულუფას.

მოგებიდან ორი საათის შემდეგ ხბოს ვკვებავთ დედის თბილი ხსენით დღეში ოთხჯერ 10 დღის განმავლობაში. მეთორმეტე დღიდან ხბო გადაგვყავს დღეში სამჯერ რძით კვებაზე. სახბორეში ხბოებს სისტემატურად ვუცვლით ქვეშსაფენს და ვანიავებთ ჰაერს. ამის შემდეგ ვიწყებთ ხბოების კვებას დღის განაწესის მიხედვით. ხსენისა და რძის დალევინების შემდეგ ვუსუფთავებთ პირის ღრუს. სახბორეში ვიცავთ სისუფთავეს. ერთი თვის ასაკიდან ვაძლევთ მოხდილ რძეს. „თივის ჩაის“ ვაძლევთ ამავე ასაკიდან — ჯერ ნახევარ ლიტრს, შემდეგ თანდათანობით 2 ლიტრამდე. ოთხთვიანი ხბოები კი იღებენ 5 კილოგრამამდე „თივის ჩაის“.

15 დღის ასაკიდან ხბოებს ვაჩვევთ თივის, ხოლო 20 დღის ასაკიდან — კონცენტრირებული საკვების ჭამას. სუფრის მარილსა და ძვლის ფქვილს ვუნიშნავთ ერთი თვის ასაკიდან 10-15 გრამის რაოდენობით. 10-12 დღის ხბოები კარგ ამინდში სასეირნოდ გამოგვყავს. ამავე პერიოდში ვაძლევთ თბილ წყალს, რომლის ტემპერატურა 18 გრადუსს უდრის.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ხბოების ჯანმრთელობას. თუ ხბო დაავადდა, მას ცალკე ვათავსებთ. კუჭის აშლილობის შემთხვევაში დაავადებულ ხბოს ვკვებავთ ერთ წყალში გათქვეფილი ორი კვერცხითა და მარილით შეზავებული სითხით.

ამ დღეებში სიხარულით გავეცანით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს. ჩვენს წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. კოლმეურნეები ახალი ძალით აჩაღებენ მუშაობას, რომ თავიანთი სერიოზული წვლილი შეიტანონ მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში. ისინი პირობას დებენ, რომ საუკეთესოდ გამოაზამთრებენ პირუტყვს და უზრუნველყოფენ პროდუქტიულობის შემდგომ ამაღლებას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გამოცდილების დიდი სკოლაა. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მოწინავე გამოცდილების მეცხოველეობის ფერმებში დანერგვა საუკეთესო შედეგს იძლევა. ამიტომ ჩვენი მიზანია უფრო ფართოდ გავავრცელოთ მეცხოველეობაში წარჩინებული ადამიანების მუშაობის მეთოდები და ხერხები, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ მეცხოველეობის როგორც პროდუქტიულობა, ისე სულადობა, გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა. ადგილობრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატური დახმარება გაგვიწიონ ყოველივე ახლის, მოწინავის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასანერგავად. ამას მოითხოვს ჩვენი წინსვლის ინტერესები.

ა. აბულაძე,
დმანისის რაიონის სოფელ კამარლოს კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

ნახშირსაძიებო ჭაბურღილის კოშკი ხარისთვალის ტბასთან. ფოტო ა. ბეშიძისა.

Შაორის ქვანახშირი

თბილისში, მთავრობის სახლის ერთ-ერთი სართულის აივანზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სხდომის დაწყების მოლოდინში გასულებს ბორის გუჯეჯიანი — ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს უფროსი, მოუთხრობდა:

— არავინ თქვას, საქართველოში „თეთრი ლამეები“ არ იცისო. როგორ არ იცის! წადით ნაქერალაზე ხარისთვალის ტბასთან შაორის ქვანახშირის მაძიებლებთან, და დარწმუნდებით, რომ ჩვენში „თეთრი ლამეებიც“ არის და რომ ამ „თეთრი ლამეების“ სახელმოხვეჭილი რაინდებიც გვყვანან... სამწუხაროდ, მათ შესახებ გაზეთებში ცოტა იწერება, და ამიტომ შაორელ ქვანახშირის მაძიებელთა შრომითი თავდადების შესახებ მასებმა თითქმის არაფერი იციან. ვაგლახ, რომ წერას არ ვარ ნაჩვევი...

— თორემ?

— თორემ საგაზეთო ნარკვევს არ დავჯერდებოდი, დიდ მხატვრულ ნაწარმოებს შევქმნიდი, ქება-დიდებას შევასხამდი შაორელი ქვანახშირის მაძიებლების მუშაობას...

— განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები აქვს ჩვენში სამთამადნო მრეწველობას, კერძოდ, ქვანახშირის მრეწველობას, — განაგრძობდა ამხ. გუჯეჯიანი, — უამრავი წიაღისეული მოგვეპოვება, უამრავი ქვანახშირის მარაგია საქართველოს მიწის წიაღში, მაგრამ...

— მაგრამ დღესდღეობით ქვანახშირი არ გვყოფნის, მილიონობით ტონა შემოგვაქვს საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებიდან,—ჩაურთო სიტყვა ვიღაცამ.

— საქმეც ეგ არის! ამავე დროს დიდი ხანია ჩვენმა გეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ რესპუბლიკაში ქვანახშირის — ამ ძვირფასი უნივერსალური საწვავის მარაგი დიდი გვაქვს. ეს დადასტურებულია შაორის ველზე, ნაქერალის ქედის ჩრდილოეთით ტყიბულის ქვანახშირის ფენათა გაგრძელების აღმოჩენით. შაორის ველის წიაღში რომ დიდძალი ქვანახშირი გვაქვს, ეს უეჭველია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ზუსტად შესწავლილი ფენათა გავრცელების მიმართულება, არ არის დადგენილი მარაგის ზუსტი სურათი. ამიტომ არის აღმართული შაორის ველზე ათობით საძიებო ჭაბურღილი. ეს ჭაბურღილები მიწის წიაღის საიდუმლოებას გახსნიან. გეოლოგებს საშუალებას მისცემენ გამოარკვიონ ფენათა გავრცელებისა და მარაგის ზუსტი სურათი, მონიშნონ ის ადგილები, სადაც უმჯობესი იქნება საექსპლოატაციო შახტების მშენებლობის დაწყება. შესაძლოა რაჭის ამ მიწის წიაღმა სხვა სიმდიდრეც შემოუნახა ჩვენს თაობას! — ესეც უნდა გვითხრან გეოლოგებმა. შესაძლოა შაორის ქვანახშირის ფენებს ისე დიდი, შორ მანძილზე გავრცელება აქვთ რაიონის ხეობის მიმართულებით, რომ მათი დამუშავებისათვის საჭიროა შეიქმნას მძლავრი ტრანსპორტაბელური მაგისტრალი...

ეს დიდი მოვლენა იქნება რკინიგზას დაშორებული ამბროლაურის, ონის, ცაგერის და ლენტეხის რაიონების მშრომელებისათვის, ამ რაიონების ეკონომიკისათვის. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება, — განაგრძობდა გუჯეჯიანი, — შაორის ქვანახშირის დამუშავების დაწყებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, მთელი ამიერკავკასიისათვის. მაშინ აღარ ვიქნებით იძულებული ამიერკავკასიაში ყოველწლიურად მილიონობით ტონა ქვანახშირი შემოვზიდოთ შორი ადგილებიდან. შესაძლებლობა მოგვეცემა საქართველოს ქვანახშირით სავსებით დავაკმაყოფილოთ, როგორც საკუთარი, ისე მომძე აზერბაიჯანისა და სომხეთის მრეწველობის მზარდი მოთხოვნილება, სახელმწიფოს ყოველწლიურად დიდძალი თანხები დავუზოგოთ.

* * *

ხარისთვალის ტბა შაორის ველის იმ კუთხეშია, სადაც ამბროლაურ-ტყიბულის გზატკეცილი დაბურულ ტყეში შედის. გზატკეცილის ორივე მხარეს ქვანახშირის მაძიებელთა საცხოვრებელი დაბაა გაშენებული. შორიდან ჩამოსულებს გზატკეცილის მარჯვნივ ბარაკის ტიპის შენობისაკენ მიუთითეს:

— გეოლოგიური პარტიის სამმართველოს შენობა ის არის, იქ ნახავთ ყველას! სულ იქითა კუთხეში დიმიტრი ვაჩნაძის — გეოლოგიური პარტიის უფროსის კაბინეტია, მაგრამ თვითონ ვაჩნაძე ახლა აქ არ არის. მის მაგიერ ალექსანდრე ნემსაძეა, მიბრძანდით!

„კაბინეტის“ კარი გაიღო, მაგრამ შემოსოლებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— მერე, მერე?.. ჯაჭვი გაწყდა?.. ჰო, დაძრა თუ არა ადგილიდან? — ჩასძახოდა ტელეფონის ყურმილში ნემსაძე.

ათიოდე კაცი, რომლებიც „კაბინეტის“ მთელი სიგრძის გამწვდენ ფიცრულ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ, ათასიკეთებით ისმენდა ტელეფონით საუბარს. მათი დაღლილი სახეები და დაწითლებული თვალები, ტალახში დასვრილი მაღალყელიანი ჩექმები, კომბინირებული საწვიმარი მოსასხამები და შიგნით დაბამბული ქურთუკები მოწმობდნენ, რომ აქ მყოფთ წუხანდელი ღამე თეთრად ჰქონდათ გათევი.

— ჩაუშვით კაუჭი, ჩვენც ახლავე მოვალთ, — კვლავ ხმამაღლა ჩასძახოდა ყურმილში ნემსაძე. — მოიცა, მოიცა, კაცო! მანდ ისეთი არაფერია, რომ არ ეშველებოდეს. მოვალთ, მოვისაზრებთ, ვნახავთ! — ყურმილი ისევ ხელთ ეჭირა ნემსაძეს, როცა კაბინეტში მყოფთ მოუბრუნდა:

— თხუთმეტ წუთს გაძლევთ, ამხანაგებო, დასასვენებლად, ახლავე უნდა მივეშველოთ!

დიდ სიღრმეზე ჭაბურღილში საბურღი ხელსაწყო გაჩხირულიყო და ბაგირი, რომელსაც იგი უნდა ამოეზიდა, გაწყდა. „კაბინეტში“ მყოფ ქურთუკიანებს — ბურღვის ოსტატებს და ინჟინერებს, უცხო თვალი მათ ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან. მთელი ღამე იქ გაეთიათ, ყველა საჭირო ღონისძიება მიეღოთ და საქმე იქამდე მიეყვანათ, რომ მიწის სიღრმეში გაჩხირული საბურღის ამოსაღებად კაუჭიანი ჯაჭვი ჩაეშვათ. სანამ ავტომანქანა კაუჭიან ჯაჭვს მოიტანდა, უკვე გათენდა და დამხმარეებმა დასასვენებლად წასვლა გადაწყვიტეს. სულ ერთია, ჯაჭვი უჩვენოდაც ამოათრევს იმ ტიალსო. მაგრამ „ტიალი“ ისე მაგრად გაჩხირული აღმოჩნდა, რომ ჯაჭვიც გაწყვიტა და ეს ღამენათევი, დაღლილი ადამიანები აიძულა ხელახლა დაბრუნებულიყვნენ ამ ავბედითს ჭაბურღილზე, რათა ბურღვა მალე განეახლებინათ.

* * *

ორდიფერიანი სატვირთო ავტომანქანა, რომელიც აქ ყველაზე საიმედო სატრანსპორტო საშუალებად ითვლება, ბუბუნით მიიწევდა ათასწლოვან უღრან ტყეში გაკაფული გზით, ახლად მოფიფქულ თოვლს ბეჯითად ხელდა ტალახში. როცა მანქანა ნიშანში ამოღებულ ჭაბურღილს მიუახლოვდა, მისულებს შორიდანვე მოახარეს:

— ყოველივე წესსა და რიგზე გვაქვს, ჭაბურღილი გავწმინდეთ, საბურღი ინსტრუმენტი ამოვიღეთ, ხელახლა გავმართეთ და ბურღვა განვაახლეთ! ჭაბურღილის უფროსი ოსტატი აკაკი გოგოლაშვილი დარცხვენით თავს იმართლებდა — იმ წამსვე დავრეკეთ, სამწუხაროდ, წამოსული აღმოჩნდით და ხმა ვეღარ მოგაწვდინეთო.

შაორელი ქვანახშირის მაძიებლებისათვის ყოველი ღამე, განსაკუთრებით ახლა, 1957 წლის ამ მიწურულში „თეთრ“ ღამედ არის გადაქცეული. ყოველ ჭაბურღილზე მუშაობა მიმდინარეობს განუწყვეტლივ დღეღამის განმავლობაში, რათა წლის ბოლომდე გარკვეულ ფართობზე მოათავონ ქვანახშირის მარაგის ზუსტად დადგენა, საშახტო ველების დაკონტურება. უკვე დამთავრებულია 10 ჭაბურღილის ამოღება.



ს. კაზიევი,
მბურღავის თანაშემწე.

ო. დვალი,
ჭაბურღილის მომსახურე ავტომძღოლი.

არცერთი უკვე მოთავსებული ჭაბურღილი ფუჭი არ გამომდგარა, ყველა ჭაბურღილმა გვიჩვენა ქვანახშირის საფენის საგრძნობლად დიდი სიმძლავრე. მაშასადამე ქვანახშირის მარაგი დიდია და ეს ახარებს ყველას. აქაურმა მბურღავებმა სვეტური წესით ბურღვაში საოქტომბრო შეჯიბრების პერიოდში სარეკორდო სიღრმეს მიაღწიეს. № 143 ჭაბურღილი მათ გათხარეს 1.763.2 მეტრის სიღრმეზე, რაც სვეტური წესით ბურღვაში ჯერ არსად მიეღწევიათ.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით თავი ისახელეს უფროსმა ბურღვის ოსტატებმა ა. მურავიოვმა, ა. გოგოლაშვილმა, ჯ. ჩიხლაძემ, ი. სავინოჩკინმა, ბ. ქარქაშაძემ, მ. ხვიშჩუკმა, უ. გვენეტაძემ, უფროსმა მბურღავმა მუშამ ა. მაკსაკოვამ, ხარატმა ბ. ბახუტაშვილმა, ავტომანქანის მძღოლმა ა. შავლაძემ. მათ შესახებ ტყიბულის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსი დ. ვაჩნაძე, მისი მოადგილე და მთავარი ინჟინერი ა. ნემსაძე, მთავარი გეოლოგი ს. ბრეგვაძე, ძიების უფროსი შ. თამარაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. ლაფერაძე, ნახშირმაძიებელთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. დენიოვი ამბობენ, ჩვენი სახელოვანი ადამიანები არიანო.

ახლა ამ ადამიანებს ჰკითხეთ, ვინ არის თქვენი საუკეთესო წარმომადგენლებიო, და პასუხად მოისმენთ:

— იგივე ჩვენი ტექნიკური ხელმძღვანელები, ის ინჟინერ-ტექნიკოსები, ვინც ჩვენთან ერთად ღამეებს თეთრად ათევენ, რათა მოკლე ხანში ჩააყენონ სამშობლოს სამსახურში შაორის ველის წიაღის სიმდიდრე — სიმონ ჯანბერიძე, გივი ბაქრაძე, ვანო მესხი, მარიამ გალდავა და სხვ.

* * *

ღამით ჭაბურღილების კოშკებზე ელექტრონათურები ციმციმებენ. უცხო თვალს გააკვირვებს მათი სიმრავლე.

ეს შაორელი ქვანახშირის მაძიებლები — „თეთრი ღამეების“ რაინდები მუშაობენ რესპუბლიკაში ქვანახშირის უდიდესი საბადოს სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩასაყენებლად.

დ. ლომთაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

დ. აბულაძე,
მბურღავის თანაშემწე.

რ. კაზიევი,
მბურღავის თანაშემწე.

რუსთაველის № 8 სახელმწიფო სასწავლებელი სამრეწველო საწარმოებისათვის ამზადებს ფოლადის მდნობელების, მვალცავების, ელექტრომონტიორების, ელექტროზენკლების, ხარატების კვალიფიციურ კადრებს.

სურათზე: მილსაგლინავ დგან „900“-ის მოქმედი მაკეტი, რომელიც დაამზადეს სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა. საწარმოო სწავლების ოსტატი პ. ცხოვრებოვი მვალცავთა 32-ე ჯგუფის მოსწავლეებს აცნობს დგანის მოწყობილობის პრინციპს და მილების გაგლინვის ტექნოლოგიას.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა და ი. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

★

წარმოებას მოუწყვეტლივ

ყოველდღე, როცა ქარხნის საყვირი აუწყებს პირველი ცვლის მუშაობის დამთავრებას, ტექნიკური კაბინეტის ოთახები ახალგაზრდებით ივსება. ესენი არიან წარმოების მუშაკები, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატები, ზეინკლები, საამქროს ოსტატები, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში. მუშაობის შემდეგ საწარმოს ტექნიკურ კაბინეტში ისინი ამზადებენ ნახაზებს, ასრულებენ სასწავლებლებიდან მიღებულ დავალებებს. ბევრი მათგანი ქარხნის ბიბლიოთეკას ეწვევა, სადაც 20 ათას ტომზე მეტი ტექნიკური წიგნია.

მონდომებით მეცადინეობენ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოსა და დაუსწრებელი ფაკულტეტების პირველი კურსის სტუდენტები ზეთკალ-მეინსტრუმენტე ი. კანდელაკი, ხარატები ე. ანსტრატოვი, გ. კირთაძე და ჯ. თოფურია, მღარავი ი. ზაქარეიშვილი, ზეინკალი ვ. როშჩუკინი და სხვები, რომლებიც საწარმოო დავალებებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ი. კანდელაკი ორი წლის წინათ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატით მოვიდა ქარხანაში, პროფესიის კარგად ათვისების შემდეგ მან ამ შემოდგომაზე გაიარა ინსტიტუტში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები და გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა. სულ წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღებულ იქნა საწარმოს 19 მუშა.

წარმოების ბევრი მუშაკი დაუსწრებლად სწავლობს ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამწყობი საამქროს ოსტატი თ. სიგოლიასოვი სწავლობს ოდესის დაუსწრებელი ჩარხმშენებლობის ტექნიკუმის მესამე კურსზე. მასთან ერთად ტექნიკუმში სწავლობენ ქარხნის მოწინავე მღარავები ა. ალექსეენკო, ს. ნაზარიკოვი და სხვები.

ამჟამად სულ წარმოებას მოუწყვეტლივ ინსტიტუტებსა, ტექნიკუმებსა და საშუალო სკოლაში სწავლობს ქარხნის 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე.

სოფლებს—სანიმუშო კინომომსახურება

ამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კინომომსახურება ადიგენის რაიონში. კინოსურათებს ხშირად უჩვენებენ სოფლებში ვარხანში, სმადაში, ლელოვანში, უდეში. სამწუხაროდ, კინოსეანსებს ატარებენ მხოლოდ რაიონის ცენტრთან ახლოს მდებარე და ადვილად მისასვლელ სოფლებში, ხოლო მთის სოფლების მცხოვრებნი თვეობით ვერ ნახულობენ ფილმებს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რაიონის ცენტრთან ახლოს მდებარე სოფლებშიც იშვიათად ტარდება კინოსეანსები. მაგალითად, ზმ მხრივ საყვედურს გამოთქვამენ სოფელ ადიგენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. მაგრამ მათი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ამ სოფელს არა აქვს ისეთი დარბაზი, სადაც შეიძლებოდეს კინოსურათის ჩვენება. წელს აქ ორჯერ უჩვენეს კინოსურათი. ისიც მინდორში. ზაფხულში კიდევ მოსახერხებელია მინდვრად კინოსურათების ჩვენება, მაგრამ როგორ უნდა მოიქცნენ ზამთრის პერიოდში?

ბოლაჯურის სასოფლო კლუბს რეკონსტრუქცია სჭირდება. პროექტით კლუბს უნდა მოადგან პატარა კინოკამერა. ამისათვის ადგილზე მოზიდეს საშენი მასალა, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობამ ეს მასალა სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენა. ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომმა რამდენჯერმე გააფრთხილა ბოლაჯურის სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა. ეს უკანასკნელნი კი უყურადღებოდ ტოვებენ მითითებებს და არ ზრუნავენ სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების უკეთ დაყენებისათვის.

მთის სოფელი შოყა სავსებით მოკლებულია კულტურულ მომსახურებას. აქ არის შესაძლებლობა, რომ რეგულარულად უჩვენონ მოსახლეობას კინოფილმები, მაგრამ თავს არავინ იწუხებს ამ დაშორებული სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მოგვარებისათვის.

მიმდინარე წლის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ უჩვენეს კინოსურათები დერცელის, სამხრის და ბევრი სხვა სოფლის მოსახლეობას.

უდე ყველაზე დიდი სოფელია ადიგენის რაიონში. აქ რამდენიმე კომკავშირული ორგანიზაციაა, რომლებშიც ორასამდე ახალგაზრდა ირიცხება. ბევრია კავშირგარეშე ახალგაზრდაც. სოფელს ჰყავს მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია. მიუხედავად ამისა, სოფელში მოწესრიგებული არ არის მშრომელთა კულტურული მომსახურების საქმე. ამით უნდა აიხსნას, რომ აქ სასაუზმისა და ფოსტის კანტორის წინ ხშირად ნახავთ ახალგაზრდების დიდ ჯგუფს, რომლებიც ლაზღანდარობაში ატარებენ თავისუფალ დროს. დაუშვებლად ჩიანურდება ჯერ კიდევ 12 წლის წინათ დაწყებული სასოფლო კლუბის მშენებლობა.

ადიგენის კულტურის სახლში უხარისხოდ აწყობენ კინოსეანსებს. ამასთან აქ მცირეწლოვან ბავშვებს უშვებენ ისეთი ფილმების სანახავად, რომლებიც რეკომენდებული არ არის მათთვის.

ჩვენს რაიონში იშვიათად გზავნიან საუკეთესო საბჭოთა ფილმებს, და რასაც გზავნიან, იმასაც ძალიან დიდი დაგვიანებით. იშვიათად ხდება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და დოკუმენტალური ფილმების დემონსტრირება.

საჭიროა სასწრაფოდ იქნას მიღებული ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მაღალმთიანი სოფლების კინომომსახურება.

ნ. მასხარაშვილი,
საქ. ალკკ ადიგენის რაიკომის მდივანი.

შ. აბულაძე,
გაზეთ „ადიგენის კოლმეურნის“ რედაქციის მდივანი.

ენათმეცნიერთა საინტერესო ნაშრომი

მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ნაშრომი „სვანური პროზაული ტექსტები, ბალსქვემოური კილო“.

მასალები შეკრიბეს და გამოსცეს პროფესორმა ვ. თოფურიამ, ა. დავითიანმა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ქალდანმა. წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა, სადაც გაშუქებულია ამ ტექსტებიდ დიდი მნიშვნელობა ქართველურ ენათა ისტორიული შედარებითი შესწავლისა და საერთო ქართულის ადრინდელი სახის აღდგენისათვის.

ტექსტები დალაგებულია სოფლების მიხედვით. მასში შესულია ბეჩოური, ცხუმარული, ეცერული, ფარული, ჩუბეხევური და ლახამულური მასალები, შინაარსობრივად გაშუქებულია ეთნოგრაფიული (ზნეჩვეულება, ყოფაცხოვრება, ხელსაქმე, ნადირობა, სვანური სამართალი და სხვ.), ისტორიული და ფოლკლორული ხასიათის მასალები.

წიგნს ადგილმდებარეობისა და კილოკავების აღნიშვნით დართული აქვს ვრცელი შენიშვნები ინფორმატორთა და ტექსტების ჩაწერთა შესახებ.

ინსტიტუტში ამ წიგნზე მიღებულია შრავალი მოთხოვნილება. იგი, მოსკოვის, ლენინგრადის და მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გარდა, გაეგზავნება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, აგრეთვე ბელგიის, ამერიკისა და ავსტრიის მეცნიერებს.

ტელეგადაცემები თანდათან საინტერესო ხდება

თბილისის სატელევიზიო სტუდიამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე საინტერესო გადაცემა მოაწყო.

მაყურებლებმა ეკრანზე ნახეს ტელესტუდიის მიერ განხორციელებული მცირეფორმიანი სპექტაკლი „თეთრი ღამეები“, რომლის სცენარი ჭოლა ლომთათიძის მოთხრობების მიხედვით დაწერეს მ. ლორთქიფანიძემ და მ. ჯალიაშვილმა. დადგმა განახორციელეს რეჟისორმა მ. ჯალიაშვილმა, ოპერატორმა თ. ლომიძემ და მხატვარმა რ. თარხან-მოურავმა. დადგმაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. ზაქარიაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ვ. ადამიძემ და ბ. ზაქარიაძემ, მსახიობებმა დ. აბაშიძემ, ნ. მგალობლიშვილმა, მ. გეგეჭკორმა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა ს. ლაღიძემ.

მაყურებელთა თხოვნით სატელევიზიო დადგმა „თეთრი ღამეები“ განმეორებით ნაჩვენები იქნება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

ამ დღეებში მოწყობილ ტელეგადაცემათა შორის აღსანიშნავია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივნის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. მაჭავარიანის საუბარი კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების შესახებ და ნორჩი მაყურებლებისათვის განკუთვნილი გადაცემა ამიერკავკასიის ბოლშევიკების მუშაობაზე რევოლუციის წინა წლებში, აგრეთვე რევოლუციური სიმღერების ისტორიაზე.

სატელევიზიო სტუდიაში მოწვეულ იქნა პროფესორი ბ. ბალავაძე. მან მაყურებლებს მოუთხრო კანადაში 3 კვირის განმავლობაში ყოფნის შთაბეჭდილებათა შესახებ და ესაუბრა ქალაქ ტორონტოში გამართული გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო ასამბლეის მე-11 სესიის მუშაობაზე. ამ სესიაზე საბჭოთა დელეგაციაში საქართველოდან ბ. ბალავაძის გარდა შედიოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მუშაკები, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ა. ბუხნიკაშვილი, ა. ცხაკაია და ვ. გაბუნია.

დღეს თბილისში ჩამოდიან აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილენი. დღესვე საღამოს დეკადის მონაწილეთა ერთი ჯგუფი გამოვა სატელევიზიო სტუდიაში. აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრის ამხ. ვ. კვარჩელიას საუბრის შემდეგ წარმოდგენილ იქნება სცენები სოხუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებიდან. გადაცემაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე პოეტები გ. გუბლია, კ. ლომია და შ. აკობია, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლი.

დღეს მოეწყობა აგრეთვე ტელეტრანსლაცია თბილისის სახელმწიფო ცირკიდან.

უახლოეს დღეებში მოწყობილ ტელეგადაცემათა შორის დიდი ადგილი დაეთმობა აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეთა ჩამოსვლას სატელევიზიო სტუდიაში. მოეწყობა დეკადის დასკვნითი საღამოს ტელეტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან.

გ. აბესაძე.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: სცენა სატელევიზიო დადგმიდან „თეთრი ღამეები“. მარცხნიდან — ს. ზაქარიაძე (ჯეირან ვარდოსანიძე), ბ. ზაქარიაძე (ცისის უფროსი) და დ. აბაშიძე (ცოლია დროზდოვი).

ფოტო რ. კეზელისა.

ოჩამჩირის რაიონში

30 მანეთი და 4 კილოგრამი მარცვალი ავანსად შრომადღეზე

რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა სოფელ კვიტოულის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ყოველწლიურად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. იზრდება კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავალი. კეთილმოწყობილი ხდება სოფელი. ამ დღეებში კოლმეურნეობის შემოსავალმა 2,5 მილიონ მანეთს მიაღწია. კოლმეურნეებმა თვითეულ შრომადღეზე ავანსად მიიღეს 30 მანეთი და 4 კილოგრამი მარცვალი. სულ კი თვითეულ შრომადღეზე ნავარაუდევია გაიცეს 40 მანეთი და 6 კილოგრამი სიმინდი. კოლმეურნე რასილ ჩამლარის ოჯახმა წელს ავანსად მიიღო 23.400 მანეთი, ნესტორ გერგიამ — 27 ათასი მანეთი.

მაღალი მოსავლის ოსტატები

წელს სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღეს სოფელ არადუს კოლმეურნეობაში „კომუნიზმისაკენ“, სადაც საშუალოდ მოიყვანეს 30 ცენტნერი ჰექტარზე. გ. ქობალიას ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 32 ცენტნერი სიმინდი მოტეხა. ასევე მაღალი მოსავალი მიიღეს დ. ახვლედიანის და ო. ბენდელიანის ბრიგადებმა. ახალგაზრდა კოლმეურნემ გ. ქობალიამ 7.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე 6 ტონა სიმინდი მოტეხა.

წითელი კუთხეები ფერმებში

სოფელ კინდღის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის წითელ კუთხეში რეგულარულად მოდის ჟურნალ-გაზეთები, არის ლიტერატურა ელექტროწველის, საკვების შემზადების, ხბოს მოვლის შესახებ და სხვ. ამ დღეებში წითელი კუთხეები მოეწყო სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“, სოფელ ილორის კომკავშირის სახელობის, სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა ფერმებში.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

ქალაქ ოჩამჩირეში წელს მოასფალტდა სამი მთავარი ქუჩა. შეკეთდა ტროტუარები, ქუჩების გაყოლებით დაიდგა ლამაზი ლამპიონები, დაირგო ასობით ძირი მარადმწვანე ხე. ცენტრში აშენდა კინოთეატრი. შენდება ზღვაში შეჭრილი ახალი რესტორანი.

ფართოვდება კულტურულ დაწესებულებათა ქსელი

ფართოვდება კლუბებისა და სამკითხველოების ქსელი. ამჟამად რაიონში 68 კულტურული დაწესებულებაა. მათ შორის 23 სასოფლო კლუბი, ათობით ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, 5 მოძრავი და 3 სტაციონარული კინოდანადგარი.

ვ. დოხნაძე,
ა. ქობალია.

ჯრაქვორების რემონტის პროგრესული მეთოდი

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). ასურეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი წარმოებდა პერიოდულად — შემოდგომა-ზამთარში. წელს სარემონტო სახელოსნოში შეიქმნა მუდმივი სარემონტო ბრიგადა, რომელიც შეკეთებას აწარმოებს განუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში. ახლა იარაღ-მანქანებს დეფექტის აღმოჩენისთანავე უკეთებენ რემონტს.

ამ მეთოდის შემოღების შედეგად შემცირდა ტექნიკის მოცდენა, სარემონტო ხარჯები, გაუმჯობესდა სამუშაოთა ხარისხი. მუდმივმა ბრიგადამ უკვე შეაკეთა 20 ტრაქტორი და ბევრი მისაბმელი იარაღ-მანქანა, გასწია 40 ათასი მანეთის ეკონომია.

მაღალხარისხოვანი თესლი მეგოსფნეობას

დრანდა. (საკ. კორ.). გულრიფშის რაიონის სოფელ ესტონკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეთესლეობის ბრიგადამ, რომელსაც ი. ჯიბლაძე ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების თესლის მოყვანაში. პამიდორის, საზამთროს, კომბოსტოს, ბულგარული წიწაკის, საკვები გოგრის, კიტრის თესლი დამზადებულია გეგმის დიდი გადაჭარბებით.

ბრიგადამ გეგმის გადამეტებით მოიწია აგრეთვე დიდძალი სასურსათო პამიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო და სხვა ბოსტნეული.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მოუწესრიგებელი საკითხები ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში“

ამ სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ინჟინერ ე. ბერუჩიევის წერილი, რომელიც ამხილებდა ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მეორე ლითონსამსხმელო საამქროს ნაკლოვანებებს და საწარმოო გეგმების შეუსრულებლობის მიზეზებს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის და ელექტრომრეწველობის სამმართველოდან ამ წერილთან დაკავშირებით გვატყობინებენ, რომ მანქანადანადგარების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად ლითონსამსხმელო საამქროსთან ჩამოყალიბდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. მან საამქროს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით განახორციელა მთელი რიგი ცვლილებები. საამქროში შეიქმნა აგრეთვე შემკეთებელ-სამონტაჟო განყოფილება, რომელიც კონტროლს უწევს მექანიზმებ-ს მუშაობას, აწარმოებს დეფექტების ლიკვიდაციას.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ხელი შეუწყო ვარგისი სხმულის გამოშვების საგრძნობლად გადიდებას.

ფოტოაპარატით ჩვენს რესპუბლიკაში



სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებს ამზადებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებისათვის.

ს ურ ა თ ზ ე: სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე დოცენტი გ. ჯიოევი პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებს ფიზიკის კაბინეტში.

ფოტო ი. ედიგარაშვილის და გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



თბილისის ლენინის რაიონის ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკაში უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა წიგნების ფონდი, რომელთა რაოდენობა 24 ათას ცალს აღემატება. ამჟამად ბიბლიოთეკას ჰყავს 1.100 მკითხველი.

ს ურ ა თ ზ ე: ბიბლიოთეკარი ნ. გოშაძე (მარცხნივ) ახალგაზრდა მკითხველებს ურჩევს ახალ წიგნებს.

ფოტო გ. დარსაველიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სხვადასხვა სახის სამედიცინო პრეპარატებს: კამფოლონს, ანტიანემინს, მიოლს, ფოლიკულინს, პეპსინს, გემატოგენსა და სხვ. ამზადებს თბილისის ხორცკომბინატის ორგანოთერაპიული ქარხანა. ამას წინათ ქარხნის კოლექტივი შეუდგა ახალი სამედიცინო პრეპარატის — შუშისებრი სხეულის გამოშვებას, რომელიც მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის თვალიდაგან მზადდება. ახალ პრეპარატს იყენებენ რადიკულიტის სამკურნალოდ და სხეულის ნაწილების დაწვისას.

ს ურ ა თ ზ ე: სტერილიზებული პრეპარატების საამქროს მუშები ე. ზადოროჟნაია (მარცხნივ) და ვ. კურჩუნენკო ამუშავებენ პირუტყვის თვალებს.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის

თერჯოლა. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ფაშათრიდება (რაიონის საკავშირო ქსელის წელს — ოთხასის — ცენტრის) დაშორებულ სოფელ ტელეფაში გაიხსნა სამრეწველო საქონლის ახალი მაღაზია, რომელსაც აქვს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქსოვილებისა და სხვა საქონლის ფართო ასორტიმენტი.

სავაჭრო ფარდულები გაიხსნა სოფელ თუზში და ზედა სიმონეთის ალდიაშვილის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე. ჩხარში, გოგნში, თერჯოლასა და ზედა საზანოში სამომხმარებლო კოოპერაციამ ააგო პურის საცხობები.

სულ მალე დამთავრდება ახალი მაღაზიების მშენებლობა სოფლებში ღვანკითსა და ეწერში. წლის ბოლოსათვის დასრულდება ახალი მაღაზიის მშენებლობა სოფელ ჩხარში. ამ დღეებში სოფელ ზედა საზანოში გაიხსნება ახალი საკაღილო.

ხილის კონსერვები

წელს ხილის კარგი მოსავალია. განსაკუთრებით ბევრი და მაღალხარისხოვანი ხილი მოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში. „საქკონსერვტრესტმა“ ბრეთის, ქიწნისისა და ვარიანის საბჭოთა მეურნეობებში ათასობით ჰექტარი ბაღებიდან უხვად მიიღო მოსავალი.

გაცხოველებით მიმდინარეობს ახალი ხილის გადამუშავება, რაც ამ დღეებში დამთავრდება. უკვე გადამუშავებულია ათეულ ათასობით ტონა ხილი — დიდძალი ალუბალი, ტყემალი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, ატმი და სხვ. ათ თვეში გამოშვებულია 70.057.000 პირობითი ქილა ბოსტნეულისა და ხილის კონსერვი, მათ შორის 16 მილიონამდე ქილა კომპოტი, 4 მილიონი ქილა სხვადასხვა მურაბა, 12.361 ათასი ქილა ჯემი, 16 მილიონამდე ქილა ხილფაფა, 6 მილიონზე მეტი ქილა სოუსი, 1.069.000 ქილა ვაშლის წვენი. სულ წლის ბოლომდე გამოშვებულ იქნება 3,5 მილიონამდე ქილა ხილის წვენი.

დიდი რაოდენობით არის დამზადებული ბოსტნეულის კონსერვი, მათ შორის დიდძალი სალაფუზმე, ნატურალური, სასადილო კონსერვები, ბოსტნეულის მარინადები, 9 მილიონზე მეტი ქილა ტომატის პასტა და პიურე.

მილიონობით ქილა კონსერვი იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. სადღესასწაულოდ მოსკოვს და ლენინგრადს გაეგზავნა 450 ვაგონი ქართული ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი.

ახლო მომავალში განზრახულია კონსერვის წარმოების გაფართოება. სოხუმში განახლდა ახალი ქარხნის მშენებლობა, რომელიც 17 მილიონი მანეთი დაჯდება და წელიწადში გამოუშვებს 10-15 მილიონ პირობით ქილა პროდუქციას. მომავალ წელს ლესელიძეში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ქარხანა. სამტრედიაში დაიწყო საკონსერვო კომბინატის რეკონსტრუქცია, რაც უზრუნველყოფს მისი წარმადობის აყვანას 15 მილიონ ქილამდე წელიწადში. ამ კომბინატისათვის იუგოსლავიიდან უკვე მიღებულია ტომატის ავტომატიზებული ხაზი.

ახალი კინოთეატრი

თელავი. (საკ. კორ.). ქალაქ თელავის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ახალი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — დამთავრდა საზამთრო 350-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა, რაზეც მილიონნახევრამდე მანეთი დაიხარჯა.

კინოთეატრის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს თელაველებთან ერთად დაესწრნენ გურჯაანის, ყვარლის, გორის და სხვა რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები. მიტინგის შემდეგ ახალ კინოთეატრში ნაჩვენები იქნა ფილმი „ლენინი ოქტომბერში“.

საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

ამ დღეებში საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის დარბაზებში გაიხსნა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც თბილისის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. გამოფენა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნებისა და მხატვრული კერამიკის ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენი მხატვრების მიერ შექმნილია განვლილი ორი წლის მანძილზე.

ყურადღებას იპყრობს ექსპონირებულ ნაწარმოებთა თემატიკის მრავალფეროვნება და ჟანრების სიმრავლე. დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ამსახველ სურათებს. მოწონებას იმსახურებს აჭარელი მხატვრის შ. ხოლუაშვილის ფერწერული ტილო — „მზადება ოლიმპიადისათვის“, ოსი მხატვრის ბ. სანაკოევის — „ახალგაზრდა მასწავლებლის პორტრეტი“, ი. გიგოლაშვილის — „სვანეთი“. ოსტატურად არის შესრულებული ჯ. ხუნდაძის ორი ნატურმორტი, რომლებშიც გამოყენებულია ძველი ქართული მოზაიკის მოტივები, აღსანიშნავია მ. გაბუნიას — „ძოწაფის პორტრეტი“, ე. მეძმარიაშვილის — „დილა“, ო. ბრენდელის ზღვის პეიზაჟები.

მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი გამოფენაზე წარმოდგენილია ოთხი პორტრეტით. ფერის, კომპოზიციისა და ნახატის შესრულების მხრივ მოწონებას იმსახურებენ ა. ქუთათელაძის პეიზაჟები, უ. ჯაფარიძის ნამუშევრები — „ი. ჭავჭავაძის პორტრეტი“ და „რაჭა“, აგრეთვე ვ. ტოროტაძის, მ. გვაჯაია-ს, ჯ. გრძელიშვილის, საქართველოში მოღვაწე ჩინელი მხატვრის ა. ხანის, ვ. შუხაევის, გ. ჯაშის, მ. თარიშვილისა და სხვათა ფერწერული ტილოები.

გრაფიკულ ნამუშევრებს შორის გამოირჩევა დ. ნოდიას „ჭიათურა“, შ. ცხადაძის ხალხური ზღაპრის „ქომბლეს“ ილუსტრაციები, ა. შალიკაშვილის — „ჩინელი პრაქტიკანტები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში“, რ. თარხან-მოურავის გრაფიკული სერია ცეკვებზე, გ. ფირცხალავას და ა. კანდელაკის სატირული ნამუშევრები და სხვ.

ქანდაკების დარგში გამოფენაზე წარმოდგენილია კ. მერაბიშვილის პორტრეტი — მუშა ამირანაშვილი, შ. ზაუტაშვილის — მეშახტის პორტრეტი, თ. ნაცვლიშვილის „მარტენის ღუმელთან“, „მობანავე ქალი“, ბარელეფი „მეტალურგები“, ს. კაკაბაძის — მხატვარ მრევლიშვილის პორტრეტი, ბ. ციბაძის — ქალიშვილის პორტრეტი, ე. ამაშუკელის მთლიანი ფიგურა — „მოჭიდავე“, ი. ოქროპირიძის — უ. ჩხეიძის პორტრეტი.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი თეატრალურ-დეკორაციული ჟანრის ნაწარმოებები, ილუსტრაციები, აგრეთვე მხატვრული კერამიკის ნიმუშები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი არ არის ქართველ მხატვართა 300-ზე მეტი საუკეთესო ნამუშევარი, რომლებიც შერჩეულია სახვითი ხელოვნების სრულიად საკავშირო გამოფენისათვის, იგი მაინც მოწმობს ქართველ მხატვართა მაღალ ოსტატობას.

ლ. ხუბულური.

ს ურ ა თ ზ ე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი

პრაღა, 13 ნოემბერი. (საკდესი). 5 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ უეცრად სერიოზულად ავად გახდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი ანტონინ ზაპოტოცკი. 6 ნოემბერს პრესა იუწყებოდა, რომ პრეზიდენტს აღმოაჩნდა გულის ინფარქტი. უკანასკნელ დღეებში ა. ზაპოტოცკის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესამჩნევად გაუჯობესდა. 9 ნოემბერს გამოქვეყნდა ბიულეტენი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პრეზიდენტის ავადმყოფობა მიმდინარეობს ისე, რომ არ არის რაიმე გართულება. ამავე დროს ავადმყოფობა უეცრად მკვეთრად გამწვავდა. დღეს პრაღის რადიომ გადასცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის ცნობა პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ. ცნობაში ნათქვამია:

„ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ მთელი ჩეხოსლოვაკიის ხალხს, რომ დღეს დილის 5 საათზე გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი ანტონინ ზაპოტოცკი.

პრაღა, 1957 წლის 18 ნოემბერი".

ექიმთა კონსილიუმის ცნობაში, რომელიც რადიომ გადასცა, ნათქვამია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯანმრთელობის დროებითი გაუმჯობესების შემდეგ, რაც მოხდა 12 ნოემბერს, 13 ნოემბერს დილის 3 საათზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უეცრად გაუარესდა. სისხლის მიმოქცევის დარღვევის აღკვეთა ვერ მოხერხდა. დილის 5 საათზე რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი გარდაიცვალა.

ცნობა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ეროვნული ფრონტის მთავრობის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომის შესახებ

პრაღა, 13 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა შემდეგი ცნობა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ეროვნული ფრონტის მთავრობის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომის შესახებ.

ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალების შემდეგ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ეროვნული ფრონტის მთავრობის პრეზიდიუმის გაერთიანებული სამგლოვიარო სხდომა. დიდი მწუხარებით სცეს პატივი მუშათა კლასისა და ჩვენი ხალხის დიდი შვილის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის ხსოვნას. მიღებულ იქნა ტექსტი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელისადმი.

ძალის პოზიციის პოლიტიკა მოძველდა

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებანი, რასაც ცხადად მოწმობს საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა გაშვება, კვლავ გაცხოველებულ კომენტარს იწვევენ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებსა და პრესაში.

ამერიკელთა მონოპოლიების ოპოლოგეტები ცდილობენ ჩვენი ეპოქის ეს უდიდესი მეცნიერული მიღწევა გამოიყენონ ომის ისტერიის გაღვივებისათვის, მშრომელთა საგადასახადო ტვირთის გადიდებისა და გამაღებული შეიარაღების გაძლიერებისათვის, რაც ხელსაყრელია ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური წრეებისთვის.

გამოვიდა რა ამ დღეებში ტელევიზიით, იურისტმა ტომას ფინლეტერმა, რომელსაც ავიაციის მინისტრის პოსტი ეკავა ტრუმენის მთავრობაში, მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვნად გააკტიურონ საბუშაოთა პროგრამა რაკეტული იარაღის დარგში, თუნდაც ეს დაკავშირებული იყოს გადასახადების გადიდებასა და სახელმწიფო ვალის ზრდასთან. ასეთივე მოწოდებით მიმართეს თავიანთ მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა და ტრუმენმა.

სენატორმა რობერტ კერმა (დემოკრატი, ოკლაჰომის შტატი) ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი „დიდად დაწინაურდა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური „უუმბარების განვითარებისა და წარმოების დარგში". მან თქვა, რომ ეს არის იარაღი, „რომელსაც ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის გონების მიერ დღემდე გამოგონებულ ყველა სახეობის იარაღს შორის", და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისაგან მოითხოვა დააჩქაროს „ამუშაობები საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების დარგში.

დემოკრატთა და რესპუბლიკელთა ლიდერები კონგრესში, როგორც გაზეთ „დეილი ნიუსის" კორესპონდენტი ო'დონელი ამბობს, აცხადებენ, რომ გადასახადების შემცირების იმედი გაქრა და, პირიქით, საშემოსავლო გადასახადი „უფრო დიდი და უფრო მძიმე იქნება" იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირმა „საგრძნობლად გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს იმ დარგებში, რომლებშიც ჩვენ გვეგონა უდავო უპირატესობა გვქონდა".

„რუსეთის ტრიუმფალური მიღწევების შემდეგ, რომელმაც შექმნა თანამგზავრები, — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი ჰიგინსი, — საჭიროა, რომ დასავლეთის ყველა მთავარმა ‘ქვეყანამ გადასინჯოს თავისი ტენდენცია სამხედრო ხარჯების შემცირებისა".

მაგრამ ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ სულ უფრო ძლიერდება კრიტიკა ამერიკის პრესაში. პრესის ზოგიერთი ორგანო და ზოგიერთი ოფიციალური პირი ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო მეტად იზიარებს იმ აზრს, რომ საჭიროა გადასინჯოს ამერიკის „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, „ცივი ომის" პოლიტიკა, რომელიც არ შეესაბამება ამჟამად შექმნილ საერთაშორისო ვითარებას.

გავლენიანი სენატორები, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" კორესპონდენტი ჩალდსი, — „თანდათან მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ეიზენჰაუერ-დალესის საგარეო პოლიტიკა ვერ აღწევს მიზანს"...

დემოკრატი სენატორები, განაგრძობს იგი, „უკვე პოულობენ ნაკლოვანებებს" დალესის თვალსაზრისში, რომელიც გამოიხატება მისწრაფებით საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება აწარმოონ ძალის პოზიციიდან".

„ამასწინანდელი ამბები, — დაასკვნის ჩალდსი, — მოწმობენ, რომ ეს პოზიცია, რომელსაც სახელმწიფო მდივანი ყოველნაირად იცავდა ხუთი წლის განმავლობაში, მოძველდა".

ახლა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ვილსონმა განუცხადა გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" კორესპონდენტს უოლესს, საჭიროა შენელდეს „ცივი ომი" და „გამწვავებული ატმოსფერო მთელ მსოფლიოში". „არ შეიძლება მუდამ ვცხოვრობდეთ შიშით. ეს მეტად საშიშია".

აღნიშნა რა, რომ იგი წინააღმდეგია საბჭოთა კავშირთან შეჯიბრებისა სამხედრო დარგში, ვილსონმა განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების გადაქცევა შეიარაღებულ ბანაკად" ქმნის ახალი ომის საფრთხეს

ზოგიერთი ოფიციალური პირი ამერიკის შეერთებულ შტატებში და პრესის ორგანოები გამოთქვამენ აზრს, რომ საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა კავშირთან.

„თანამგზავრის სიგნალები, — განაცხადა დემოკრატიული პარტიის ყოფილმა კანდიდატმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე ედლაი სტივენსონმა, — გვეუბნებიან, რომ თანამედროვე სამყაროში... ერთადერთი შესაძლო ურთიერთობა ადამიანებს შორის არის ურთიერთობა, დამყარებული სრულ პატივისცემაზე"...

მსგავი ამერიკელი მეწარმე იტონი სტატიაში, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში", ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამალებული შეიარაღება ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირს აქვს თანამედროვე იარაღი, „უაზრო". ახასიათებს რა თავის თავს როგორც ადამიანს, „რომელიც კაპიტალიზმის ერთგულია", იტონი აღნიშნავს, რომ საჭიროა „გამონახოს საერთო ნიადაგი" ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამერიკაში კაპიტალიზმის მოსპობის ყველაზე უტყუარი საშუალებაა, იძლევა იგი გიფრთხილებას, „რუსეთთან ომის დაწყება". „თავი დაანებეთ რუსეთს, — წერს იგი, — დაე მან შექმნას თავისი ეკონომიური თეორიები და აკეთოს თავისი პრაქტიკული საქმეები... ჩვენ ნუღარ ვიკვეხნით ჩვენს საქმეს და ნუღარ ვწამებთ ცილს სხვა ადამიანებს — ჩინელები იქნებიან ისინი თუ რუსები", — დასკვნის იტონი.

„დალესი უნდა წავიდეს"

ამერიკის პრესა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიის ჩავარდნების შესახებ

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი.). საოთაურით „ძლიერდება დალესისადმი უნდობლობა მთელ მსოფლიოში" გაზეთმა „ჩიკაგო დეილი ნიუსმა" გამოაქვეყნა ცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინიდან.

„სიძულვილი და უნდობლობა, რომლებსაც ჯონ ფოსტერ დალესის დიპლომატია იწვევს, — აი გრძნობები, რომლებსაც განიცდიან თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, — წერს გაზეთი. — ყველა ისინი აღფოთებული არიან ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოქმედებით".

შეერთებული შტატების პოზიციამ შუა აღმოსავლეთისა და განიარაღების საკითხებში გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე, აღნიშნავს გაზეთი, „გააძლიერა დალესის საწინააღმდეგო განწყობილება"... აზიის ყველა ქვეყანა ერთიანია თავის უარყოფით აზრში დალესის შესახებ.

სარედაქციო სტატიაში, რომელსაც ხელს აწერს გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" რედაქტორი და გამომცემელი ჯონ ნაიტი და რომლის სათაურია „დალესი უნდა წავიდეს", ნათქვამია: „იმ ტიპის დიპლომატია, რომელსაც დალესი ახორციელებს, თავისი ბლეფით, ხმაურითა და ლანძღვით, უკვე დიოხანია მოძველდა.

№ 1 თანამგზავრმა და № 2 თანამგზავრმა ცხადყვეს დალესის პოზიციის უნაადგობა, — აცხადებს მიმომხილველი. — დალესი უნდა წავიდეს".

პრაღაში დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია

პრაღა, 13 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან პრაღაში სპეციალური თვითმფრინავით დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულზე და რომელმაც თავისი ყოფნა სსრ კავშირში შეწყვიტა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალების გამო.

ინდოეთის პრესა მიესალმება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიურ თანამშრომლობას

დელი, 12 ნოემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ დაიდო საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეთანხმება ინდოეთის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების, ოპტიკური მინის ქარხნის, აგრეთვე ელექტროსადგურებისა და ქვანახშირის მოსაპოვებელი და გადასამუშავებელი საწარმოების მშენებლობაში, თანამშრომლობის შესახებ, გაზეთი „ფრი პრეს ჯორნელი" წერს, რომ ეს შეთანხმება ყველაზე ხელსაყრელია იმ შეთანხმებათაგან, რომლებიც ინდოეთს ოდესმე დაუდვია რომელიმე უცხო სახელმწიფოსთან.

აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა კავშირი მოამზადებს ინდოელ პერსონალს იმ საწარმოებში სამუშაოდ, რომლებიც აშენდება ამ შეთანხმების შესაბამისად, გაზეთი წერს, რომ საეჭვოა მოსალოდნელი იყოს უფრო ხელსაყრელი შეთანხმება. გაზეთი წერს აგრეთვე, რომ მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების ამუშავების შემდეგ ინდოეთს შეუძლია თავისი ძალებით, უცხოეთის დაუხმარებლად აშენოს ფოლადსამსხმელო, ცემენტისა და შაქრის ქარხნები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სამამულო მანქანებით.

გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა" წერს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ინდოეთისათვის 500 მილიონი მანეთი კრედიტის მიცემა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ინდოეთს მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში.

მოკლედ

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამთავრდა კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც მოეწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

* * *

12 ნოემბერს ვაშინგტონში ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ენიურინ ბევენი შეხვდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს თეთრ სახლში. საუბრის დამთავრების შემდეგ ბევენმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ მან გააცნო ეიზენჰაუერს თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ახალი თათბირი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „მაღალ დონეზე" მიზანშეწონილია.

* * *

გუშინ დელში გაიხსნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აზიის მე-4 რეგიონალური კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 20-ზე მეტი ქვეყნის დაახლოებით 200 დელეგატი და მეთვალყურე.

კონფერენცია განიხილავს შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის დავიდ მორსის მოხსენებას აზიის ქვეყნების ეკონომიური განვითარების შესახებ.

კონფერენციის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ.

დიდი თეატრის სოლისტები თბილისში

გუშინ წარმოდგენილ იქნა პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „გიზელის ტბა".

სპექტაკლში ქართული ბალეტის ოსტატებთან ერთად მონაწილეობდნენ და მთავარ პარტიებს ასრულებდნენ სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი აკადემიური დიდი თეატრის სოლისტები.

თბილისელი მაყურებელი აღტაცებით შეხვდა საბჭოთა ბალეტის ბრწყინვალე წარმომადგენელს რსფსრ სახალხო არტისტს მ. პლისეცკაიას, რომელმაც ჩვეული ოსტატობით შეასრულა ოდეტას და ოდილიას პარტიები. ასევე გულთბილი ტაშით დაჯილდოვეს მაყურებლებმა დიდი თეატრის სოლისტები ნ. ფადეეჩევი (პრინცი ზიგფრიდი) და გ. სოლოვიოვი (მასხარა).

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენით გამოდიან სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტები. პირველ დღეს რსფსრ სახალხო არტისტმა ი. პეტროვმა და სოლისტმა ვ. ოტდელენოვმა შესანიშნავად შეასრულეს გრემინისა და ონეგინის პარტიები.

სურათზე: სცენა ოპერიდან „ევგენი ონეგინი" თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. როლებში — დიდი თეატრის სოლისტები რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. პეტროვი (გრემინი) და ვ. ოტდელენოვი (ევგენი ონეგინი).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საბჭოთა შჯანგისჯების 6 ოქროს მედალი

თეირანი, 12 ნოემბერი. (საკდესი). დღეს, სიმძიმეთა აწევაში მსოფლიო პირველობის უკანასკნელ დღეს ჯერ გამოვიდნენ ქვემძიმე წონის შტანგისტები. საბჭოთა კავშირის გუნდისაგან ამ წონითს კატეგორიაში გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი არკადი ვორობიოვი.

საბჭოთა შტანგისტმა დამსწრეთ უჩვენა მაღალი ტექნიკა. პირველ ვარჯიშში — აპიმვაში მან აჩვენა 147,5 კილოგრამი, გაუსწორა ირანის წარმომადგენელს რაჰნავარდის 2,5 კილოგრამით. მეორე ვარჯიშში (ატაცი) ვორობიოვს მეტოქე არა ჰყოლია. მისი შედეგია 142,5 კილოგრამი. რეკორდის დასამყარებლად მეოთხე ცდის დროს, რომელიც არ შესულა სამჭიდში, მან აჩვენა 145 კილოგრამი. ამით ვორობიოვმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. ირანელმა რაჰნავარდიმ, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, მიაღწია მხოლოდ 130 კილოგრამს.

მაღალი შედეგი აჩვენა ვორობიოვმა აგრეთვე უკანასკნელ ვარჯიშში — აკვრაში — 180 კილოგრამი. სამჭიდში მან მოაგროვა 470 კილოგრამი, რაც 7,5 კილოგრამით აღემატება მსოფლიო რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. საბჭოთა შტანგისტმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი.

მეორე ადგილზე გამოვიდა რაჰნავარდი, რომელმაც სამჭიდში მოაგროვა 440 კილოგრამი.

* * *

თეირანი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. უკანასკნელნი გამოვიდნენ მძიმე წონის შტანგისტები. სსრ კავშირის გუნდის წარმომადგენელი იყო ალექსი მედვედევი.

აპიმვაში სელვეტიმ (არგენტინა) აჩვენა მაღალი შედეგი—175 კილოგრამი და 10 კილოგრამით გაუსწორა მედვედევს. შემდეგ ვარჯიშში (ატაცი) მედვედევმა აჩვენა 147,5 კილოგრამი, 1,5 კილოგრამით გაუმჯობესა რა საბჭოთა კავშირის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, და მოუგო სელვეტის 7,5 კილოგრამი. არგენტინელმა მესამე ვარჯიში — აკვრა დაიწყო 170 კილოგრამით. ასწია რა ეს სიმძიმე, მან მოაგროვა სამჭიდში 485 კილოგრამი. მედვედევმა აჩვენა 180 კილოგრამი, და, ამრიგად, თავის მეტოქეს გაუსწორა 7,5 კილოგრამით. კვლავ გასწორების მიზნით სელვეტიმ სცადა 187,5 კილოგრამის აკვრა. მისი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. საბჭოთა შტანგისტი გაცილებით უფრო გაბედულად გამოდიოდა. მან შეძლო აეწია ჯერ 185 კილოგრამი, შემდეგ 187,5 კილოგრამი და სამჭიდში დაამყარა საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი — 500 კილოგრამი. მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ ახალ მსოფლიო ჩემპიონს — ალექსი მედვედევს.

პირველობის შედეგად საბჭოთა შტანგისტებმა მოიპოვეს აგრეთვე გუნდური გამარჯვება, მოაგროვეს რა 33 ქულა. მათ მიიღეს ექვსი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი, დაამყარეს მსოფლიოს 7 და საბჭოთა კავშირის 12 რეკორდი.

მეორე ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა — 9 ქულა. ასეთივე შედეგით მესამე ადგილზე გამოვიდა ირანის გუნდი.

რესპუბლიკური ჩემპიონატი

საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. მორიგი შეხვედრები გაიმართა 9 ნოემბერს. მატჩების შედეგები ასეთია: „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2 : 2, თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდი — „ტორპედო" (ქუთაისი) 1 : 2, „დინამო" (სოხუმი) — „ბურევესტნიკი" (რუსთავი) 0 : 2, „კრასნოე ზნამია" (გორი) — „ვოდნიკი" (ფოთი) 3 : 1.

წინ არიან თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ბათუმის „დინამოს" გუნდები.

კამბოჯელი სტუმრები თბილისში

13 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდნენ კამბოჯელი სტუმრები — პარტია სახალხო-სოციალისტური გრეგორ ნეფეს დელეგაცია ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ჩუოპ სამლოტის მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. მოგზაურობს რა საბჭოთა ქვეყანაში, დელეგაციამ უკვე დათვალიერა ლენინგრადი.

აეროდრომზე კამბოჯელ სტუმრებს შეხვდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრები ა. ლ. გუნია და ა. ა. გიგოშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. ლომიძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. გომელაური, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. ქოჩორაძე, თბილისის მთავარი არქიტექტორი ა. ა. თევზაძე.

ჩამოსვლის დღეს დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ თბილისს.

(საქდესი).

საინტერესოდ და მხიარულად ატარებენ დროს ქალაქ თბილისის სტალინის სახელობის რაიონის № 26 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. საბავშვო ბაღის ხუთ ჯგუფში თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა 150 ბავშვია. მათ განკარგულებაშია მრავალი სახის სათამაშო, საინტერესო დასურათებული წიგნები, ნახატები. პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის სიყვარულით და გულთბილი მზრუნველობით არიან გარემოცული საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.

* * *

სურათზე: მომავალი მუსიკოსი დარეჯან დუნდუა პიანინოსთან.

ფოტო **ი. დვალისა** (საქდესის ფოტოქრონიკა).

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ფილოსოფიის დოქტორი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ესკადრის დაღუპვა, **გრიბოედოვის სახელობის** — ქარაშხლიანი წელი, **სომხური დრამის** — ლიუსი ლისინიანი, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძნელაძე (აბონემენტი № 44, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რბილი ხასიათი (10 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (11 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი (საზაფხულო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვისა და ჭავჭავაძის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — ქალის ტვირთი, **ამირანი** (ფართო ეკრანი) — დები, **ისანი** (საზამთრო), **კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, ყაზბეგი, კომუნარების ბაღი** — წყნარი დონი, **კომკავშირელი, დიდუბე** (საზამთრო და საზაფხულო) — დედის სიყვარული, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ვიბორგის მხარე, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — კარნავალის ღამე, **კოლმეურნე** — წითელი და შავი (I დ. II სერია), **სარეწაოკოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — წეროები მიფრინავენ, **ცენტრალური კულტურის სახლი** — ვირთაგვები.

ხელმოწერთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ ხელმოწერა 1958 წლისათვის

ცენტრალურ ჟურნალებზე მთავრდება 1 დეკემბერს. ცენტრალურ გაზეთებზე— 15 დეკემბერს

რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა გრძელდება.

„სოიუზპეჩატი".

ტელეგადაცემათა პროგრამა

14 ნოემბრისათვის

19.30 — აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისადმი მიძღვნილი გადაცემა, 20.35 — დიდი საცირკო სანახაობა 2 განყოფილებად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცირკის „ვარშავის" მსახიობთა მონაწილეობით. ანტრაქტში — გადაცემა „პოლონელი მსახიობები თბილისში".

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის, ნავთობის და სამთამადნო მრეწველობის სამმართველო აცხადებს, რომ ესაჭიროება მუშები როგორც მიწის ქვეშ, ისე ზედაპირზე სამუშაოდ შემდეგ წარმოებებში:

„ტყიბულქვანახშირის" ტრესტში, ტყიბულშახტმშენში — ქ. ტყიბული.

„ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტში, ტყვარჩელშახტმშენში — ქ ტყვარჩელი.

ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოში, ახალციხშახტმშენში — დაბა ვალე.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტში — ქ. ჭიათურა.

სამუშაოზე მიიღებიან მამაკაცები 18 წლის ასაკის ზევით. მიღებულ მუშებთან დადებული იქნება ხელშეკრულება არანაკლებ ერთი წლის ვადით. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, მიეცემათ ერთდროული დახმარება 300 მანეთი, აქედან 150 მან. ხელშეკრულების დადების დროს და 150 მან. ორი თვის მუშაობის გავლის შემდეგ, აუნაზღაურდებათ გზის ხარჯები.

მსურველებმა უნდა მიმართონ უშუალოდ აღნიშნულ ადგილზე კადრების განყოფილებას.

დამატებითი ცნობების მისაღებად მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგი მისამართით: ქ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 52, მესამე სართული, ოთახი № 317, ტელეფონი 3-05-30, დამატებითი 5-05.

შვილი ვლადიმერ, რძალი პაშა ჯიქია, და მაშო სოხაძე, ეთერ ალექსანდრია იუწყებიან

ნატაშა ნიკოლოზის ასულ ალექსანდრიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 14-XI, 5 ს. აბოვიანის ქ. № 12.

შვილები ქენია, მიხეილ, რძალი ნინო გეგეჭკორი, ძმა სამსონ ოჯახებით იუწყებიან

ნოე ივანეს-ძე წეროძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XI, 4 ს. სოფელ სამებაში (ჩოხატაურის რ.).

შვილები ფენია, ვერა, ქენია, გვანჯი, ტატიანა, რძალი ირინე ნოდია, სიძეები ნ. დოჰვირი, ა. მიქაძე ოჯახებით იუწყებიან

ფეოდოსია მიხეილის ასულ გეთია-მანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-XI, 5 ს. ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ბინიდან, რუსთაველის ქ. № 162.

შვილები გრიგოლ, სილიონ, შალვა, რახიელ, რძლები ეფროსია, იულია, აგრაფინა იუწყებიან

ახინეთ იოსების ასულ მაჭარაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XI სოფელ კორბოულში (საჩხერის რ.).

შვილები აკაკი, პოლიკარპე, აპოლონ, ბაბი, მარგო, ენენა, ვალენტინა, ქეთევან, ძმა ნესტორ, რძლები ანა, თამარ, სიძეები ვ. პაპასკირი, კ. ქორაია, კ. ყორდანია, პ. სხულუხია ოჯახებით იუწყებიან

ამბროსი პეტრეს-ძე დანელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XI სოფელ ლეხაინდრაოში (გეგეჭკორის რ.).

მეუღლე ანდრია, შვილები ნინო, მარო, აპოლონ, პეტრე, ილია როგავები ოჯახებით იუწყებიან

ოლღა მაქსიმეს ასულ ჯგუშია-როგავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-XI სოფელ ცაიშში (ზუგდიდის რ.).

მეუღლე სოფიო, შვილები დავით, სერგო, შალვა, მარიამ, ეთერ, რძლები ევგენია, ალექსანდრა, სიძე გ. ბერიძე შვილებით იუწყებიან

ისაკი შიოს-ძე მაისურაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-XI, 7 ს. გამოსვენება 16-XI, 3 ს. გოგებაშვილის I შესახვ. № 10.

მოქალაქე **ქეთევან ნიკოლოზის ასულმა ნონიაშვილმა.** მცხოვრებმა ლენინის ქ. № 63, აღძრა სარჩელი მერკვილაძის ქ. № 29 მცხოვრებ მოქალაქე **სერგი ივანეს-ძე ნონიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

სიძე ადამ ჩიგილაშვილი, მანუშაკ, სირიკა, მარგო არუთინოვები, ზიზი, შოთა გეგიძეები ოჯახებით იუწყებიან

გრიგოლ არტემის-ძე არუთინოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 14-XI, 4 ს. ენგელსის ქ. № 23.

მეუღლე გრიგოლ, შვილები ენრიკო, მიხეილ, სონია, ზურაბ; ბაბულია, ნინო, ქეთო, სიძეები ა. მახარაძე, კ. კალოვი, ს. ნებიერიძე, ვ. ნიორაძე ოჯახებით იუწყებიან

თამარ ილიას ასულ ღვინჯილია-ქართველიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XI, 4 ს. ბაშურში, გამოსვენება ბინიდან, მე-3 ინტერნაციონალის ქ. № 8.

დედა მარიამ, მეუღლე ელო, შვილები შურა, გალინა, გია, ძმა შალვა, და ლუბა, სიძეები ა. გაგაძე, ს. კუნჭულია ოჯახებით იუწყებიან

ვასილ გაბრიელის-ძე მუხიგულის

გარდაცვალებას. გამოსვენება 14-XI, 5 ს. 9 ძმის ქ. № 18.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საოფთიალო სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან პროვიზორის, რუსთავის მე-4 აფთიაქის მმართველის

ტერენტი ტერენტის-ძე ბოჭორიშვილის

გარდაცვალებას.

დედა თებრონე, მეუღლე შალვა, შვილები რამაზ, მეგი, ზურაბ იუწყებიან

**ხოფიო ვარლამის ასულ გამცემლი